

საკანონმდებლო წინადადება
(წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის
105-ე მუხლის გათვალისწინებით)

ცვლილების სახეობა: ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

საკითხი - ნოტარიუსთან გათანაბრებულ პირთა შორის საკონსულო თანამდებობის პირების განსაზღვრა. კანონის პროექტის დასაბუთება: ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სანოტარო მოქმედებას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ასრულებს ნოტარიუსი ფიზიკური ან იურიდიული პირის თხოვნით და მას აქვს იურიდიული შედეგი. სანოტარო წესით დამოწმებულ დოკუმენტს აქვს უდავო მტკიცებულებითი ძალა. საგულისხმოა, რომ სანოტარო მოქმედებებს - გარდა ნოტარიუსისა, ასრულებს სხვა უფლებამოსილი პირებიც. ამავე კანონის 42-ე მუხლის თანახმად: „სანოტარო მოქმედებები, ნოტარიუსის გარდა, შეიძლება შეასრულონ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების სათანადოდ უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა. საკონსულო დაწესებულებებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების უფლებამოსილ თანამდებობის პირებს სანოტარო მოქმედებების შესრულების უფლებამოსილება ენიჭებათ მხოლოდ ელექტრონული სანოტარო რეესტრის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში. სანოტარო ფუნქციების შემსრულებელი პირი წარმომადგენს გარიგების მონაწილეთა ინფორმირებულობისა (და თანასწორობის) გარანტს, სწორედ, რომ იგი ეხმარება დაინტერესებულ პირებს ნების ფორმირებაში და საუკეთესო პირობების განსაზღვრაში. ამ განსაკუთრებული პასუხისმგებლობის დაკისრებამდე ლოგიკურია შესატყვისი მოთხოვნების არსებობის დაწესებაც. თუმცა, სანამ ასეთი ფუნქციების განხორციელებაზე გადავალთ, უნდა აღვნიშნოთ - რომ კითხვები შეიძლება არსებობდეს საკონსულო თანამდებობის პირის მიერ ანდერძის შედგენის მართლზომიერებასთან დაკავშირებითაც (ამ და სხვა გარემოებების გამოც, მიზანშეწონილია, რომ სანოტარო საქმიანობის განმსაზღვრელ ძირითად საკანონმდებლო აქტში, რიგი საკითხები მკაფიოდ იქნეს დარეგულირებული). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1326-ე მუხლის მიხედვით სამკვიდროს გახსნის ადგილად იმ პირთა გრდაცვალების შემდეგ, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ, ითვლება ის ქვეყანა სადაც ისინი ცხოვრობდნენ. ხოლო ამავე კოდექსის 1327-ე მუხლის მიხედვით საქართველოს მოქალაქე, რომელიც საქართველოში ცხოვრობს უცხო სახელმწიფოში სამკვიდროს მიიღებს ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით. როგორც

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს. № 1-447/24
18.01.2024 წ. გ.ს.ს. 27

ჩვენთვის ცნობილია კანონმდებლობა იცნობს ანდერძის რამდენიმე სახეს და ამ ნაწილში არ ზღუდავს მამკვიდრებელს, რათქმუნდა ანდერძის წერილობითი ფორმა განიხილება მხოლოდ. სამოქალაქო კოდექსის 1357-ე მუხლის მიხედვით, ანდერძი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით. ასეთი ანდერძი შეიძლება დადასტურდეს სანოტარო წესით, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის თვითმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ. სავალდებულო არ არის ყველა ანდერძის დადასტურება. კანონი არ განსაზღვრავს თუ რა შემთხვევაში უნდა დადასტურდეს ანდერძი ნოტარიულად და როდის არის ამის გაკეთება საჭირო. ამ საკითხს წყვეტს თვითონ მოანდერძე. სანოტარო ფორმა კი მოითხოვს იმას, რომ ანდერძი შედგენილი და ხელმოწერილი იქნეს მოანდერძის მიერ და დადასტურებული იქნეს ნოტარიუსის ან მასთან გათანაბრებული პირების მიერ ასევე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომლის 1357-ე მუხლის თანახმად: 1. „ანდერძი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით. ამასთან, დასაშვებია წერილობითი ანდერძი სანოტარო ფორმით ან ამის გარეშე; 2. სანოტარო ფორმა მოითხოვს, რომ ანდერძი შედგენილი და ხელმოწერილი იქნეს მოანდერძის მიერ და დადასტურებული ნოტარიუსის მიერ, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის, თვითმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ. რაც შეეხება ნოტარიუსთან გათანაბრებულ პირებს. მართალია ზემოხსენებული საკანონმდებლო აქტით მკაფიოდ არ არის განსაზღვრული იმ სხვა პირთა წრე, რომლებიც უფლებამოსილი არიან შეასრულონ რიგი სანოტარო მოქმედებები, თუმცა მათი იდენტიფიცირება შესაძლებელია კანონის 43-ე მუხლით, რომლითაც მოცემულია სანოტარო წესით შესრულებულ აქტებთან გათანაბრებული/დამოწმებული დოკუმენტები. ესენია:

უფლებამოსილი პირები	საქართველოს ალმით მცურავ საზღვაო გემის კაპიტანი ან საჰაერო ხომალდის მეთაური	სამიეზო-სადაზვერვო და სხვა, მათი მსგავსი ექსპედიციის უფროსი	სავადმყოფოს, სამკურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავარი ექიმი, სამედიცინო ნაწილში მისი მოადგილე ან მორიგე ექიმი	ჯარის ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სამხედრო სასწავლებლის მეთაური (უფროსი)	პენიტენციური დაწესებულების დირექტორი
---------------------	---	---	---	--	--------------------------------------

დამოწმებულ ო დოკუმენტები	ანდერძები		ანდერძები და რწმუნებულებანი
შენიშვნა	ანდერძი წარუდგინება ნოტარიუსს	უფლებამოსილება ენიჭებათ მხოლოდ ელექტრონული სანოტარო რეესტრის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში	

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ანდერძის დადასტურებისას¹ ნოტარიუსთან გათანაბრებული პირები არიან

- ა) საავადმყოფოს, ჰოსპიტალისა და სხვა სამკურნალო დაწესებულებების, სანატორიუმის მთავარი ექიმი, უფროსი, მათი მოადგილე სამედიცინო ნაწილში, მორიგე ექიმი, თუ მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლის დირექტორი ან მტავარი ექიმი, თუ მოანდერძე ამ დაწესებულებაში მკურნალობს ან ცხოვრობს;
- ბ) საძიებო, გეოგრაფიული და სხვა მსგავსი ექსპედიციის უფროსი, თუ მოანდერძე ასეთ ექსპედიციაში იმყოფება;
- გ) გემის კაპიტანი ან საჰაერო ხომალდის მეთაური, თუ მოანდერძე გემზე ან საჰაერო ხომალდზე იმყოფება;
- დ) სამხედრო ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაური, თუ სამხედრო ნაწილის დისლოკაციის პუნქტში ნოტარიუსი არ არის და მოანდერძე სამხედრო მოსამსახურე ან სამხედრო ნაწილში მომსახურე სამოქალაქო პირი ან მათი ოჯახის წევრია;
- ე) თავისუფლების აღკვეთის ადგილის უფროსი, თუ მოანდერძე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფება.

ამას გარდა, საყურადღებოა, რომ ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონით მხოლოდ ნოტარიუსების მიმართ არის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნა (მუხლი 11. ნოტარიუსის თანამდებობის დაკავების პირობები). მაგალითად უმაღლესი იურიდიული

¹ ანდერძის სამართლებრივი ძალის გარკვევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი ფორმის საკითხსაც, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 1357-ე მუხლითაა წარმოდგენილი. თუ მამკვიდრებელმა რამდენიმე ანდერძი შეადგინა, რომელთაგან ერთ-ერთი შედგენილია სანოტარო ფორმით, დანარჩენი კი არა, უპირატესობა სანოტარო ფორმით შედგენილ ანდერძს მიენიჭება. მისი უპირატესობა იმაშიც ვლინდება, რომ იგი არ შეიძლება მოიშალოს სხვა ფორმის ანდერძით. სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძი შეიძლება შეიცვალოს ან მოიშალოს მხოლოდ ამავე ფორმით შედგენილი ანდერძით ან სანოტარო ორგანოში შეტანილი განცხადებით. შინაურული ანდერძის შესაცვლელად ან მოსაშლელად სავალდებულო არ არის სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძი. ეს შეიძლება ახალი შინაურული ანდერძით მოხდეს. ანდერძთა კონკურენცია არ დაიშვება მაშინ, როცა მამკვიდრებელმა ქონების ერთი ნაწილი გაითვალისწინა სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძით, ხოლო მეორე ნაწილი კი მოგვიანებით სხვა ფორმის ანდერძით გაანაწილა სხვა მემკვიდრეებს შორის. ასეთ შემთხვევაში ორივე ანდერძი ძალაშია, რადგან შემდგომი ანდერძი არ ცვლის და არც აუქმებს წინა ანდერძს. იგი მხოლოდ ავსებს ნოტარიალურად დადასტურებულ ანდერძს. ანდერძებს შორის უპირატესობის განსაზღვრა მაშინ დგება დღის წესრიგში, როცა ისინი სხვადასხვანაირად წყვეტენ სამკვიდრო ქონების მემკვიდრეებს შორის განაწილების საკითხს.

განათლების ფლობა, სტაჟირების გავლა ან ნოტარიუსად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი ან ქონა, საჯარო სამსახურში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი და ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება². გამომდინარე იქიდან, რომ ხსენებული კანონი მკაფიოდ არ განსაზღვრავს ნოტარიუსებთან გათანაბრებულ პირებს, ასევე, მოცემული დელეგირებული ფუნქცია სრულდება ფორსმაჟორული ვითარებიდან თუ გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, საკანონმდებლო დონეზე არ გხვდება მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. თუმცა, სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ ინსტრუქციის მე-16 მუხლში აღნიშნულია, რომ ნოტარიუსთან გათანაბრებული პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ცალკეულ სანოტარო მოქმედებათა შესრულების ფუნქცია და რომელსაც არ გააჩნია იურისტის კვალიფიკაცია და სპეციალური ცოდნა სანოტარო საქმიანობის ირგვლივ, უფლებამოსილია განახორციელოს კერძო აქტებზე მხარის (მხარეთა) ხელმოწერების დამოწმება, საჯარო აქტის შედგენის ვალდებულების გარეშე. ამასთან, არც ზემოხსენებული კანონი და არც მოცემული ინსტრუქცია მკაფიოდ არ განსაზღვრავს ჩამონათვალს თუ რომელს განეკუთვნება კერძო აქტი და რომელს საჯარო აქტი (რათა მოვახდინოთ იმ დოკუმენტების დამოწმების უფლებამოსილებაზე შეზრუდვა შესაბამისი კვალიფიკაციის არქონის პირობებში). ხსენებული სამართლებრივი აქტის ნაკლოვანებად უნდა მივიჩნიოთ (აღნიშნული გარემოებები იწვევენ ისეთ ხარვეზებს, როგორცაა საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონში სანოტარო მოქმედებათა შორის ანდერძის გაუქმების გაწერას, მაშინ როდესაც ასეთი სანოტარო მოქმედება ბუნებაში არ არსებობს³). საქართველოს იუსტიციის მინისტრის 01/04/2010 71 ბრძანებით დამტკიცებული სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ანდერძი უნდა გაუქმდეს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 1398-ე მუხლში მოცემულია ანდერძის შეცვლისა და მოშლის საშუალებები:

- ანდერძის შეცვლა შესაძლებელია ახალი ანდერძის შედგენით. მოანდერძეს ახალ ანდერძში შეუძლია მიუთითოს, თუ რა ცვლილებები შეაქვს ძველ ანდერძში. თუ ახალ

² პირი გათავისუფლდება ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისაგან, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი სამოქალაქო, საერთაშორისო კერძო სამართლის ან სამოქალაქო საპროცესო სამართლის სპეციალობაში

³ მოანდერძე არ არის შეზღუდული ანდერძის შედგენის შემდგომ მოახდინოს როგორც მისი მოშლა, ასევე შეცვლა. ანდერძის შეცვლა ან მოშლა მოანდერძეს შეუძლია ახალი ანდერძის შედგენით, ანდერძის ყველა ეგზემპლარის განადგურებით ან სანოტარო ორგანოსათვის შესაბამისი შინაარსის შემცველი განცხადებით მიმართვის გზით. თუ მოანდერძემ რამდენიმე ანდერძი შეადგინა, მაგრამ ისინი ავსებენ და მთლიანად არ ცვლიან ერთმანეთს, მაშინ ყველა ანდერძი ინარჩუნებს ძალას. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძი არ შეიძლება მოიშალოს სხვა ფორმით. კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს ანდერძის ძალადაკარგულად გამოცხადების შესაძლებლობას და ეს ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც პირი, რომლის სასარგებლოდაც შედგენილია ანდერძი გარდაიცვლება მოანდერძეზე ადრე, ნაადერძები ქონება გასხვისდება, აღარ იარსებებს ან/და ერთადერთი მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროზე. კანონმდებლობის მიხედვით ასევე შესაძლებელია ანდერძის ბათილად ცნობა. <https://www.ambebi.ge/article/255369-ra-unda-vicodet-anderzis-shedgenis-etapze-da-ra-upl/>

ანდერძში ცვლილებების შესახებ არაფერია აღნიშნული, მაშინ გაუქმებულად ჩაითვლება წინა ანდერძის ის ნაწილი, რომელიც ახალ ანდერძს ეწინააღმდეგება; ახალი ანდერძი თუ მთლიანად ეწინააღმდეგება ძველს, იგულისხმება, რომ ძველი ანდერძი მთლიანადაა გაუქმებული. ასევე შესაძლებელია მოანდერძემ მიუთითოს ახალ ანდერძში, რომ ძველს მთლიანად აუქმებს.

- ანდერძის გაუქმება ახალი ანდერძის შედგენის გარდა, შესაძლებელია სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით და ანდერძის ყველა ეგზემპლარის მოსპობით ან ნოტარიუსის მიერ მოანდერძის განკარგულებით.

ამ აქტებს შორის ფუნქციური სხვაობის გარდა, განსხვავება ასევე იკვეთება მისი გამოცემის პასუხისმგებლობის ხარისხის, დახარჯული დროის, საზღაურისა და დოკუმენტისთვის გათვალისწინებული სავალდებულო რეკვიზიტებს შორის. შესაძლოა ხსენებულის იდენტიფიცირების შესაძლებლობას მოგვეცეს სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ ინსტრუქციის მე-15 მუხლის პირველმა პუნქტმა, რომლის თანახმად იმ აქტის დასამოწმებლად (გარიგების, მოწმობის და სხვა), რომლის ნამდვილობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია სანოტარო ფორმის დაცვა, ნოტარიუსი ვალდებულია:

- შეამოწმოს მხარეთა (წარმომადგენელთა) ვინაობა, უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის ნამდვილობა
- უზრუნველყოს გარიგების კანონმდებლობასთან შესაბამისობა,
- მხარეთა ნების ადეკვატური ასახვა გარიგებაში,
- მხარეთათვის გარიგების შინაარსის და სამართლებრივი შედეგების განმარტება, რჩევის მიცემა

კანონის ამავე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების გათვალისწინებით, გარიგებაზე ან სხვა დოკუმენტზე, სადაც არ მოითხოვება დოკუმენტის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, მხარეთა ნების ადეკვატური გამოხატვა და დოკუმენტის შინაარსის და სამართლებრივი შედეგების განმარტება, რჩევის მიცემა არის კერძო აქტი. რაც შეეხება სამართლებრივი შედეგების განმარტებას და რჩევის მიცემის საკითხს, ვფიქრობ, რომ იგი მხოლოდ სათანადო კვალიფიკაციის ქონის შემთხვევაში არის შესაძლებელი. კონსულტაციით მაღალკვალიფიური დახმარებას მხოლოდ შესაბამისი მომზადების მქონე პირები შეძლებენ. სანოტარო ფუნქციების შემსრულებელმა პირმა, გარიგებების და სხვა საჯარო აქტების შესრულებისას უნდა შესთავაოს მომხარებელს ყველა შესაძლო ვარიანტი, ნათლად აუხსნას მათ შორის განსხვავებები და სრულად მიაწოდოს ყველა დეტალზე ინფორმაცია. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-10 მუხლი და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი საჯაროდ აღიარებს თითოეული ადამიანის უფლებას სამართლიანბასა და მიუხერძოებლობაზე.

სანოტარო ფუნქციების შემსრულებელს ასეთ შემთხვევაში არის გამაფრთხილებელი მართლმსაჯულების წარმომადგენელი.

საქართველოს მთავრობის 29/12/2011 507 დადგენილებით დამტკიცებული სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადების სამართლებრივი 31-ე მუხლით გვხვდება შემდეგი სანოტარო მოქმედებები:

ანდერძის დადასტურება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ანდერძის გახსნის შესახებ ოქმის შედგენა	დოკუმენტის თარგმანის სისწორის დამოწმება
მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება	დოკუმენტის ასლისა და დოკუმენტიდან ამონაწერის სისწორის დამოწმება
საზღვაო პროტესტის შესრულება	იმ დოკუმენტის ასლის გაცემა, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროში
განცხადების პროექტის შედგენა	მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტის დადასტურება
სააღსრულებო ფურცლის გაცემა	დოკუმენტის წარდგენის დროის დადასტურება მოქალაქის ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან იგივეობის ფაქტის დადასტურება ნოტარიუსის მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებების გადაცემა სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის განცხადების ან უწყების ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის გადაცემის ან გადაცემის შეუძლებლობის შესახებ მოწმობის გაცემა ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა ქონების შეფასების გარეშე მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურება

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონით

⇒ ცალკეული მუხლის სახით განისაზღვროს:

- ის ყველა პირი, რომლებიც ნოტარიუსის გარდა ასევე უფლებამოსილნი არიან შეასრულონ სანოტარო მოქმედებები (საკონსულო ფუნქციების განმახორციელებელ პირებთან ერთად) სხვა ნოტარიუსებთან გათანაბრებული პირების მითითება; სანოტარო მოქმედებათა შესრულების ინსტრუქციის და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შეჯერებული პირები);
- ნოტარისებთან გათანაბრებული პირების მიერ საკვალიფიკაციო მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობით გამოწვეული შეზღუდვები (მაგალითად - ანდერძის თუ სხვა საჯარო კერძო აქტის დამოწმების უფლებამოსილების არქონა);

⇒ ცალკეული მუხლის სახით განისაზღვროს კერძო და საჯარო (სანოტარო) აქტების ჩამონათვალი და ამ აქტების განხორციელებასთან დაკავშირებით ზოგადი მოთხოვნები

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/
ინიციატორი ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [REDACTED]
მობ.: [REDACTED] ელ.
ფოსტა [REDACTED]; რეგისტრაციის
ადგილი: [REDACTED]

17/01/2024





საჯარო სამართლის იურიდიული პირი
Legal Entity of Public Law
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ნ ო ტ ა რ ი უ ს თ ა პ ა ლ ა ტ ა
CHAMBER OF NOTARIES OF GEORGIA



KA010085297099222

საქართველო, ქ.თბილისი ივ.ჯავახიშვილის ქუჩა N60, ტელ: (+995 32) 220 67 77
City of Tbilisi, Georgia 60, Iv. Javakhishvili Street, Tel (+995 32) 220 67 77

16/10370

01 / სექტემბერი / 2022 წ.

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძეს
მისამართი: [REDACTED]
ელ. ფოსტა: [REDACTED]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი 2022 წლის 15 ივლისის წერილი გადმოგვეგზავნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის N23075 მომართვით (სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში“ რეგისტრაციის N9784/16; თარიღი 18.07.2022). პასუხად, გაცნობებთ შემდეგს:

ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებებს ასრულებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ნოტარიატის შესახებ საქართველოს 2009 წლის 4 დეკემბრის კანონის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის #71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე. სანოტარო მოქმედებების წარმოებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები სრულადაა განთავსებული ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე www.notary.ge.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის თანახმად, იმ აქტის დასამოწმებლად (გარიგების, მონუმბის და სხვა), რომლის ნამდვილობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია სანოტარო ფორმის დაცვა, ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს მხარეთა (წარმომადგენელთა) ვინაობა, უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის ნამდვილობა და უზრუნველყოს გარიგების კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მხარეთა ნების ადეკვატური ასახვა გარიგებაში, მხარეთათვის გარიგების შინაარსის და სამართლებრივი შედეგების განმარტება, რჩევის მიცემა. აღნიშნული წარმომადგენს საჯარო აქტს. ნოტარიუსი ვალდებულია, საჯარო აქტის ფორმით დოკუმენტის დამოწმებისას სანოტარო მოქმედების მონაწილეს განუმარტოს სანოტარო აქტის შინაარსი და მისი სამართლებრივი შედეგები. განმარტება შეიძლება ატარებდეს ზეპირ ხასიათს და იგი შეიძლება არ აისახოს სანოტარო აქტში, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც სავალდებულოა წერილობითი განმარტება. პირს უფლება აქვს, საჯარო აქტის ფორმის დაცვით დადოს ის გარიგება, ან ნოტარიუსისაგან მოითხოვოს სხვა დოკუმენტის შედგენა, რომლის ნამდვილობისათვის საქართველოს კანონმდებლობით არ არის დადგენილი სანოტარო ფორმის დაცვა. საჯარო აქტის სავალდებულო რეკვიზიტებია: თავფურცელი, რომელზეც აისახება საქართველოს მცირე სახელწიფო გერბი, სიტყვა „საქართველო“, ელექტრონულ

სანოტარო რეესტრში აქტის რეგისტრაციის ნომერი და თარიღი, სანოტარო აქტის სახე (გარიგების, მოწმობის დასახელება), ნოტარიუსის ვინაობა, სანოტარო ბიუროს მდებარეობა, აგრეთვე ინსტრუქციით გათვალისწინებული სხვა სავალდებულო რეკვიზიტები.

საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობის მიერ საჯარო აქტების, მათ შორის, ანდერძის სანოტარო წესით დამოწმებისათვის მოქმედებს სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის გათვალისწინებული ზოგადი წესები, რაც წარმოდგენილია ზემოთ მითითებულ სამართლებრივ აქტებში. რაც შეეხება აღნიშნული მოქმედების შესრულებაზე უფლებამოსილი პირების კვალიფიკაციას, აღნიშნული სცილდება სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის კომპეტენციას.


საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე განთავსებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის #71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-16 მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. ნოტარიუსთან გათანაბრებული ცალკეული პირების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების ზოგადი წესი

ნოტარიუსთან გათანაბრებული პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ცალკეულ სანოტარო მოქმედებათა შესრულების ფუნქცია და რომელსაც არ გააჩნია იურისტის კვალიფიკაცია და სპეციალური ცოდნა სანოტარო საქმიანობის ირგვლივ, უფლებამოსილია განახორციელოს კერძო აქტებზე მხარის (მხარეთა) ხელმოწერების დამოწმება, საჯარო აქტის შედგენის ვალდებულების გარეშე.“. აღნიშნული რედაქცია განთავსებულია როგორც პირვანდელ, ასევე კონსოლიდირებულ ვერსიაში და მას ცვლილება არ შეეხება.

პატივისცემით,

აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
გლმბბრონულად 

ინგა ქომეთიანი



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
Legal Entity of Public Law
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ნ ო ტ ა რ ი უ ს თ ა პ ა ლ ა ტ ა
CHAMBER OF NOTARIES OF GEORGIA



KA010029006822023

საქართველო, ქ.თბილისი ივ.ჯავახიშვილის ქუჩა N60, ტელ: (+995 32) 220 67 77
 City of Tbilisi, Georgia 60, Iv. Javakhishvili Street, Tel (+995 32) 220 67 77

16/535

17 / იანვარი / 2024 წ.

ბატონ ნიკოლოზ ნიკოლაძეს

ელ. ფოსტა.: [REDACTED]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი 2023 წლის 17 ნოემბრის N33720 საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე ელექტრონულად წარდგენილი განცხადება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2023 წლის 22 ნოემბრის N01/34739 წერილით გადმოეცა სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატას“ [სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში“ რეგისტრაციის N16949/16; თარიღი: 24.11.2023]. საპასუხოდ გაცნობებთ, რომ ანალოგიური შინაარსის წერილზე პასუხი გაგეცათ სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2023 წლის 16 ნოემბრის N16/14101 წერილით.

ასევე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში წარდგენილი თქვენი 2023 წლის 27 ნოემბრის N34732 განცხადება მთავრობის ადმინისტრაციის 2023 წლის 05 დეკემბრის NGOV 3 23 00035969 წერილით გადმოეცა სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატას“ [სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში“ რეგისტრაციის N17823/16; თარიღი: 11.12.2023]. აღნიშნული წერილის პასუხად გაცნობებთ, შემდეგს:


საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის № 71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები არეგულირებენ სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობის დადგენასთან დაკავშირებულ საკითხებს: „1. სანოტარო მოქმედების მონაწილე ფიზიკური პირის პირადობას, მათ შორის, სანოტარო მოქმედების კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შესრულებისას, ნოტარიუსი ადგენს პირის მიერ წარდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით. საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელ ძირითად დოკუმენტად მიიჩნევა საქართველოს მოქალაქის პასპორტი, პირადობის მონაწილე ან სამშობლოში დაბრუნების დროებითი მონაწილე. დასაშვებია სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობის დადგენა სატრანსპორტო საშუალების მართვის მონაწილის ერთიანი ნიშნის ეროვნული ან საერთაშორისო მონაწილის საფუძველზე, რომელიც გაცემულია საქართველოს შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურების მიერ. უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტად მიიჩნევა შესაბამისი ქვეყნის მიერ გაცემული პასპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხოეთში სამოქმედოდ, ბინადრობის მონაწილე ან სამშობლოში დაბრუნების დროებითი მონაწილე. 2. დასაშვებია საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მცხოვრები უცხოელის იდენტიფიცირება და პირადობის დადასტურება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზიდან შესაბამისი პირის პირადობის (ბინადრობის) მონაწილის მონაცემების გამოყენებით. თუ სანოტარო მოქმედება კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით სრულდება, ნოტარიუსი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, დამატებით გამოიყენოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული პირადობის (ბინადრობის) მონაწილის მონაცემები.“.

რაც შეეხება საკითხს, დიპლომატიური წარმომადგენლობის/საკონსულო დანესებულების უფლებამოსილი პირის (საკონსულო თანამდებობის პირის ნოტარიუსთან გათანაბრებულ პირად მიჩნევის თაობაზე,

გაცნობებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის თანახმად: „სანოტარო მოქმედებები, ნოტარიუსის გარდა, შეიძლება შეასრულოს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების სათანადოდ უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ საკონსულო დაწესებულებებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების საქმიანობის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტებით და ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნებით. საკონსულო დაწესებულებებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების უფლებამოსილ თანამდებობის პირებს სანოტარო მოქმედებების შესრულების უფლებამოსილება ენიჭებათ მხოლოდ ელექტრონული სანოტარო რეესტრის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.“

პატივისცემით,

აღმასრულებელი დირექტორი

ხელმოწერილია
შტამბა და სურათი
ელექტრონულად 

ინგა ქომეთიანი



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
Legal Entity of Public Law
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ნ ო ტ ა რ ი უ ს თ ა პ ა ლ ა ტ ა
CHAMBER OF NOTARIES OF GEORGIA



KA010051161529023

საქართველო, ქ.თბილისი ივ.ჯავახიშვილის ქუჩა N60, ტელ: (+995 32) 220 67 77
 City of Tbilisi, Georgia 60, Iv. Javakhishvili Street, Tel (+995 32) 220 67 77

16/14101

16 / ნოემბერი / 2023 წ.

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძეს

ელ.ფოსტა: [REDACTED]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი 2023 წლის 31 ოქტომბრის წერილის პასუხად, [სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში“ რეგისტრაციის N15477/16;], პალატის კომპეტენციის ფარგლების გათვალისწინებით, გაცნობებთ შემდეგს:

სანოტარო საქმიანობა სრულდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის № 71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე. ხოლო სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატის“ კომპეტენციას სცილდება განმარტებების გაცემა.

1. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სანოტარო მოქმედებას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ასრულებს ნოტარიუსი ფიზიკური ან იურიდიული პირის თხოვნით და მას აქვს იურიდიული შედეგი. ამავ კანონის 54-ე მუხლის შესაბამისად, სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს შეუძლიათ პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მოითხოვონ სანოტარო მოქმედების შესრულება იმავე წესით, როგორც საქართველოს მოქალაქეებს.

2. ზემოაღნიშნული ინსტრუქციის მე-19 მუხლი არეგულირებს სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობისა და ქმედუნარიანობის დადგენას, რომლის თანახმად „1. სანოტარო მოქმედების მონაწილე ფიზიკური პირის პირადობას, მათ შორის, სანოტარო მოქმედების კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შესრულებისას, ნოტარიუსი ადგენს პირის მიერ წარდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით. საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელ ძირითად დოკუმენტად მიიჩნევა საქართველოს მოქალაქის პასპორტი, პირადობის მონაწილე ან სამშობლოში დაბრუნების დროებითი მონაწილე. დასაშვებია სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობის დადგენა სატრანსპორტო საშუალების მართვის მონაწილის ერთიანი ნიშნის ეროვნული ან საერთაშორისო მონაწილის საფუძველზე, რომელიც გაცემულია საქართველოს შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურების მიერ. უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტად მიიჩნევა შესაბამისი ქვეყნის მიერ გაცემული პასპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხოეთში სამოქმედოდ, ბინადრობის მონაწილე ან სამშობლოში დაბრუნების დროებითი მონაწილე. 2. დასაშვებია საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მცხოვრები უცხოელის იდენტიფიცირება და პირადობის დადასტურება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზიდან შესაბამისი პირის პირადობის (ბინადრობის) მონაწილის მონაცემების გამოყენებით. თუ სანოტარო მოქმედება კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით სრულდება, ნოტარიუსი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირადობის დამადასტურებელ

დოკუმენტთან ერთად, დამატებით გამოიყენოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული პირადობის (ბინადრობის) მოწმობის მონაცემები.“

3. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის შესაბამისად, განსაზღვრულია თანამდებობის პირთა მიერ იმ ანდერძებისა და რწმუნებულებების დადასტურება, რომლებიც უთანაბრდება სანოტარო წესით დადასტურებულ დოკუმენტებს: „1. სანოტარო წესით დადასტურებულ დოკუმენტებს უთანაბრდება: ა) საავადმყოფოში, სხვა სტაციონარულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში, სანატორიუმში სამკურნალოდ მყოფ ან მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ საავადმყოფოს, სამკურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავარი ექიმის, სამედიცინო ნაწილში მისი მოადგილის ან მორიგე ექიმის მიერ, აგრეთვე მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლების დირექტორისა და მთავარი ექიმის მიერ; ჰოსპიტალში, სანატორიუმსა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებებში სამკურნალოდ მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა და სხვა პირთა ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია ამ ჰოსპიტლის, სანატორიუმისა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულების უფროსის, სამედიცინო ნაწილში მისი მოადგილის, უფროსის ან მორიგე ექიმის მიერ; ბ) საქართველოს ალმით მცურავ საზღვაო გემზე ან საჰაერო ხომალდზე მყოფ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ საზღვაო გემის კაპიტნის ან საჰაერო ხომალდის მეთაურის მიერ; გ) საძიებო-სადაზვერვო და სხვა, მათ მსგავს ექსპედიციებში მყოფ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია შესაბამისი ექსპედიციის უფროსის მიერ; დ) სამხედრო მოსამსახურეთა ანდერძები და რწმუნებულებანი, ხოლო იმ ჯარის ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სამხედრო სასწავლებლის დისლოკაციის პუნქტებში, სადაც არ არის სანოტარო ბიურო და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა ორგანოები, – აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა, მათი ოჯახის წევრებისა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრების ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია ამ ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაურის (უფროსის) მიერ; ე) პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირთა ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია ამ დაწესებულების დირექტორის მიერ. 2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირებს ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისი ქვეპუნქტით გათვალისწინებული სანოტარო მოქმედების შესრულების უფლებამოსილება ენიჭებათ მხოლოდ ელექტრონული სანოტარო რეესტრის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში. 3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მონადერძე ჩვეულ საყოფაცხოვრებო პირობებში დაბრუნებისთანავე ანდერძს წარუდგენს ნოტარიუსს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი სანოტარო მოქმედების რეგისტრაციას ელექტრონულ სანოტარო რეესტრში. ჩვეულ საყოფაცხოვრებო პირობებში დაბრუნებამდე მონადერძის გარდაცვალების შემთხვევაში ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირები ვალდებული არიან მათთან დაცული ანდერძები ოფიციალური დეპონირებისათვის წარუდგინონ ნოტარიუსს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი სანოტარო მოქმედების რეგისტრაციას ელექტრონულ სანოტარო რეესტრში.“

ამავე კანონის 42-ე მუხლის თანახმად: „სანოტარო მოქმედებები, ნოტარიუსის გარდა, შეიძლება შეასრულონ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების სათანადოდ უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ საკონსულო დაწესებულებებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების საქმიანობის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტებით და ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნებით. საკონსულო დაწესებულებებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების უფლებამოსილ თანამდებობის პირებს სანოტარო მოქმედებების შესრულების უფლებამოსილება ენიჭებათ მხოლოდ ელექტრონული სანოტარო რეესტრის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.“ ხოლო ზემოაღნიშნული ინსტრუქციის მე-16 მუხლის თანახმად, „ნოტარიუსთან გათანაბრებული პირები პირების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების ზოგადი წესი ნოტარიუსთან გათანაბრებული პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ცალკეულ სანოტარო მოქმედებათა შესრულების ფუნქცია და რომელსაც არ გააჩნია იურისტის კვალიფიკაცია და სპეციალური ცოდნა სანოტარო საქმიანობის ირგვლივ, უფლებამოსილია განახორციელოს კერძო აქტებზე მხარის (მხარეთა) ხელმოწერების დამოწმება, საჯარო აქტის შედგენის ვალდებულების გარეშე.“


4. რაც შეეხება სანოტარო აქტების შენახვის ვადას, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის N362 ბრძანებით დამტკიცებული „დაწესებულებებში ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დროებით შენახვის ზღვრული ვადების შესახებ“ ბრძანების პირველი პუნქტის „გ.ა“ პუნქტის შესაბამისად, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების საქართველოს ეროვნული არქივისა და მისი ტერიტორიული ორგანოებისათვის – ადგილობრივი არქივებისათვის გადაცემამდე სანოტარო მოქმედებათა რეესტრების და სანოტარო აქტების დროებით შენახვის ზღვრული ვადაა 75 წელი.

5. ნოტარიუსობის კანდიდატობის კრიტერიუმები დადგენილია „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, „1. ნოტარიუსობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და რომლის ნოტარიუსად მუშაობისათვის შეუფერებლობის დამადასტურებელი ფაქტი ცნობილი არ არის. 2. პირი, რომელსაც სურს გახდეს ნოტარიუსობის კანდიდატი (თუ მას არა აქვს ნოტარიუსად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი ან საჯარო სამსახურში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი), გაივლის სტაჟიორთა კონკურსს. კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში პირს სტაჟირებისათვის.

აქვე გაცნობებთ, რომ ნოტარიუსთა პალატის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.notary.ge განთავსებულია ბანერი „საკანონმდებლო ბაზა“, სადაც შეგიძლიათ იხილოთ სანოტარო საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ელექტრონული ვერსიები.

პატივისცემით,

აღმასრულებელი დირექტორი

